



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

[www.ozurgeti.gov.ge](http://www.ozurgeti.gov.ge)

ქ. ოზურგეთი

N 15

16/02/2017

15-03-4-201702161751



განკარგულება №15  
16 თებერვალი 2017 წელი

**„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2017 წელს რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის N9 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება, „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2017 წელს რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი და

დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის N9 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში, წინამდებარე განკარგულებას თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).

**მუხლი 2.** საპროექტო წინადადება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებასთან ერთად წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

**მუხლი 3.** განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** ეს განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გელა კობალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა